

გამყიდველ-კონსულტანტი 020255

პროფესიული სტანდარტი

1. სფეროს აღწერა

გამყიდველ-კონსულტანტის პროფესია არის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, მარკეტინგის დარგის პროფესიული კვალიფიკაცია. ეს პროფესია მომსახურებაზეა ორიენტირებული და გულისხმობს მომხმარებლის მომსახურებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, დადგენილი ნორმების მიხედვით.

2. დასაქმების სფერო

სხვადასხვა ტიპის სავაჭრო ობიექტები: სავაჭრო ცენტრები, უნივერსალური მაღაზიები, საცალო ვაჭრობის ქსელები, სუპერმარკეტები, მინიმარკეტები, შპს საფირმო მაღაზიები. შრომის ბაზრის ნაწილი თვითდასაქმებულთა სეგმენტზე მოდის: ინდივიდუალური მეწარმეობა, მცირე ბიზნესი.

3. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება.

4. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

გამყიდველ-კონსულტანტის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი და ხორციელდება პროფესიული განათლების მესამე საფეხურზე. შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

გამყიდველ-კონსულტანტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 45 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება გამყიდველ-კონსულტანტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

5. გამყიდველ-კონსულტანტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

| | | |
|---|--|--|
| <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> | <p>აქვს სფეროსთვის და მახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p> | <p>აცნობიერებს პასუხისმგებლობას არსებულ მატერიალურ ფასეულობაზე; იცის ობიექტის მუშაობის რეჟიმი, სავაჭრო დარბაზისა და დამხმარე სათავსოების დანიშნულება და განლაგება, ობიექტში არსებული მოწყობილობა-დანადგარების განლაგება; საზომ-საწონი მოწყობილობები. სასწორის სახეები: სასაქონლო, ციფერბლატიანი და ელექტრონული; საქონლის მიღების განრიგი. საქონლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიღება; თანმხლები დოკუმენტების გაშიფრა; ტარა და ტარის სახეები; საქონლის განლაგება სავაჭრო დარბაზში. იცის: სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები, ასორტიმენტი და მათი შემადგენლობა, კოდირებისა და ეტიკეტირების სისტემები; აქვს ხარისხის შეფასების ზოგადი ცოდნა; იცის გასაყიდი პროდუქტის - საქონლის შემცვლელი და შემაჯავებლები, საშიში დანამატები და გენმოდირებული საკვები. იცის შენახვის პირობები და ხანგრძლივობა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით. სასაქონლო მატერიალური მარაგის აღრიცხვა. შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა. არასასურსათო საქონლის შეფუთვა და ტრანსპორტირება. იცის მარკეტინგისა და რეკლამის ძირითადი საფუძვლები, სავაჭრო გამოთვლების მნიშვნელობა, მარტივი ანგარიშის საშუალებები, მეტროლოგიის ზოგადი ცნება, ერთეულთა სისტემა, პროცენტული გამოთვლები, სალარო-აპარატის მუშაობა სხვადასხვა რეჟიმში, გაყიდული საქონლის ღირებულების დაანგარიშება სალარო-აპარატის საშუალებით, სამუშაო დღის ბოლოს ნავაჭრი თანხის დაანგარიშება და თანხის დაწყობა კუპიურების მიხედვით, ანგარიშსწორების კომპიუტერული პროგრამა, საკრედიტო ბარათის მოხმარების, გადარიცხვით და ანგარიშსწორებით სხვა ოპერაციებით მუშაობის წესები, საბანკო ტერმინალის გამოყენება, გაცნობიერებული აქვს ყოველდღიური ფიზიკური დატვირთვის აუცილებლობა.</p> |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკასთან დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p> | <p>შეუძლია დამოუკიდებლად მოქმედება, მუშაობის საკუთარი სტილის შემუშავება, ობიექტში არსებული დანადგარ-მოწყობილობების ექსპლუატაცია უსაფრთხოების ნორმების დაცვით, ობიექტის უსაფრთხოების ნორმების დაცვა, საქონლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიღება, საქონლის შტრიხ-კოდების გაშიფრა, საქონლის ესთეტიკური განლაგება სავაჭრო დარბაზში სახეებისა და ჯგუფების მიხედვით. შეუძლია მარაგის შენახვა და განლაგება წესების მიხედვით, მომხმარებელთან შეხვედრა, კონსულტაციის გაწევა, გასაყიდი ასორტიმენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, დახმარება საქონლის შერჩევაში, შეუძლია პროდუქტების შენახვის ვადების კონტროლი და როტაცია, მომხმარებელთა ტიპების განსაზღვრა. შესაფუთი მასალების შერჩევა და შეფუთვა. გაყიდული</p> |

| | | |
|---------------------------|---|--|
| | | საქონლის ღირებულების დაანგარიშება სალარო-აპარატის საშუალებით და ანგარიშსწორება დადგენილი ნორმით. დღის ბოლოს ბალანსის გაკეთება, მაღაზიის ნაშთის კონტროლი. შეუძლია საქონლის ინვენტარიზაცია. მენეჯერთან ან კოლეგებთან ერთად შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა. სამუშაო პროცესის უპრობლემოდ წარმართვა. |
| დასკვნის უნარი | შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. | შეუძლია: მენეჯერის, კოლეგების და სხვა პერსონალის მითითებებისა და შენიშვნების მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით; შესასრულებელ სამუშაოთა პრიორიტეტულობის განსაზღვრა და მენეჯერთან ერთად გადაწყვეტილების მიღება; მუშაობა როგორც გუნდში, ასევე დამოუკიდებლად; სამუშაო გარემოს გაუმჯობესებაზე დასაბუთებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. |
| კომუნიკაციის უნარი | შეუძლია ზეპირი დაწვრილებითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. | შეუძლია: ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში საჭირო ინფორმაციის გაგება, გააზრება, მოძიება; საჭიროების შემთხვევაში დეტალური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ფლობს უცხოურ ენას საკომუნიკაციო დონეზე, შეუძლია დიალოგის წარმართვა და ენის პრაქტიკულად გამოყენება; დისკუსიებში მონაწილეობა და წინადადებების შეთავაზება. |
| სწავლის უნარი | შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. | შეუძლია საკუთარი სწავლის დაგეგმვა; სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების უზრუნველყოფა. |
| ღირებულებები | განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. | იცავს საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს, გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა. არის მოდიმარი, ზრდილობიანი, თავაზიანი და ყურადღებიანი. ახასიათებს ორგანიზებულობა, პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა. საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა. კრიტიკულ სიტუაციაში არ კარგავს მობილიზაციის უნარს და მაქსიმალურად ცდილობს მომხმარებლის დაკმაყოფილებას. არის ტოლერანტული, აკურატული, მომთმენი და ემოციურად სტაბილური. იცავს ეთიკის დადგენილ ნორმებს, ჩაცმის სტილს (ე.წ. Dress code), ესთეტიკურ მოთხოვნებს. |

